

**სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის,  
უწმიდისა და უნეტარის ილია II  
აღსაყდრების საიუბილეო თარიღის გამო**

ბედნიერია ერი, რომელსაც სულიერ მამად და წინამძღვრად ისეთი ადამიანი ჰყავს, როგორცაა *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II*. ამიტომ საკვებით ვასაგებია ის ეგფორია და ერთუნიანობა, რომელსაც მთელი ქართველობა *ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების ოცდამეათე და მისი დაბადების სამოცდამეთნუთმეტე წლისთავზე* განიცდის; არასოდეს ყოფილა მართლმადიდებელი ქართველი ერი სარწმუნოებრივად ისეთი მთლიანი და ერთიანი, როგორც ეს ჩვენს დროშია, და ამ ერთიანობის ბრწყინვალე სიმბოლოა ბოლო წლებში აგებული *წმიდა სამების გრანდიოზული საკათედრო ტაძარი*, რომელიც მფარველად გადმოჰყურებს თბილისს და მთელს საქართველოს.

ამასთანავე, *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II* მაღალი სულიერება ემყარება მის პიროვნებაში *რწმენისა და ცოდნის შერწყმას ერთიან მსოფლმხედველობითს სისტემად*, სადაც სარწმუნოება და მეცნიერება კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ აგებენ და ასაზრდოებენ ერთმანეთს. სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ ჩვენი *კათოლიკოს-პატრიარქი* — მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ერთსულთვნად აერჩია თავის *საპატიო წევრად — საპატიო აკადემიკოსად*. მსოფლიოში სულ რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი უმაღლესი რანგის სასულიერო პირის ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევისა...

დღეს საერთაშორისო მეცნიერებაში მეტად აქტუალურია ტრადიციული პრობლემა *ცოდნისა და რწმენის, მეცნიერებისა და სარწმუნოების* ურთიერთმიმართების თაობაზე; წარსულისა და ჩვენი დროის უდიდესი მეცნიერები და მოაზროვნენი, როგორც ჰუმანიტარები, ასევე საბუნებისმეტყველო დარგების წარმომადგენელნი, ღრმად მორწმუნე ადამიანები იყვნენ და არიან...

ასე მაგალითად, *მაქს პლანკი* — უდიდესი მეცნიერი-ბუნებისმეტყველი, თანამედროვე თეორიული ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი) თვლის, რომ *მეცნიერება* და *სარწმუნოება* კი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ ისინი აგებენ ერთმანეთს და კომპლემენტარულნი არიან ერთ-ერთის მიმართ (*ნილს ბორის „დამატებითობის პრინციპის“* გაგებით), ხოლო *ეთიკის სფერო* კი მთლიანად რელიგიას განეკუთვნება... სწორედ ქრისტიანული ეთიკა არის მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი სფერო კათოლიკოს-

პატრიარქისა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნულ აკადემიაში „ქრისტიანული თეოლოგიის და რელიგიის  
ისტორიის შემსწავლელ კომისიას“ ხელმძღვანელობს.

. . . . .

გუსურგებ ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა  
და უნეტარეს ილია II კიდევ დიდხანს, დიდხანს ყოფილიყოს  
მთელი ჩვენი ხალხის გამაერთიანებელი და სულიერი  
წინამძღოლი.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე  
საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის  
პრეზიდენტი